შესყიდვის შესახებ შეტყობინება

მოწვევა საწყისი შერჩევისათვის

საქართველო

ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი

UWSCG-IPC-CW-LOT 2-bis: ხაშურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა

2023 წ. მაისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ *საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა* („**AFD**“) და ევროპული კავშირისაგან („**EU**“) ***ხაშურის წყალარინებისა და წყალმომარაგების პროექტის*** განხორციელების მიზნით მიიღო დაფინანსება. წყალმომარაგების კომპანია გეგმავს, დაფინანსების ნაწილი გამოიყენოს ***ხაშურში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის UWSCG-IPC-CW-LOT 2-bis***[1] დაფინანსებისათვის. დამკვეთი გეგმავს საწყის ეტაპზე შეარჩიოს მაქსიმუმ ხუთი (5) ფირმა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებისა და აქტივობების შესრულებისათვის.

განსაზღვრული ტრანში

<u>ზოგადი:</u>

გეგმების, გრაფიკებისა და ანგარიშების მომზადება (მათ შორის, არა მხოლოდ შემდეგი): დემონტაჟის გეგმა/გრაფიკი, საწყისი ეკოლოგიური კვლევისა და ჯეროვანი გადახედვის ანგარიშების განახლება, ობიექტის ნარჩენების მართვის გეგმა (ნარჩენებში იგულისხმება დემონტაჟის ნარჩენები), ობიექტის მტვერის მართვის გეგმა, ობიექტის ზედაპირული წყლის მართვის გეგმა (თუ საჭიროა), ობიექტზე ექსკავირებული მასალების მართვის გეგმა, ობიექტის ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა და თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.

<u>პროექტირება, დემონტაჟი და მშენებლობა:</u>

- ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და სატუმბო სადგურის ნაგებობების დემონტაჟის დეტალური გეგმის მომზადება;
- გზშ-ს მომზადება და/ან არსებულის განახლება (თუ საჭიროა);
- სკრინინგის ჩატარება სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით (თუ საჭიროა);
- ძველი ნაგებობისა და ძველი სატუმბო სადგურების დემონტაჟი;
- სამშენებლო მოედნიდან დემონტაჟის ნარჩენების გატანა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ახალი 30,000-40,000 P.E. ბიოლოგიური წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და მშენებლობა;
- საპილოტე ლერწმის ჭაობის პროექტირება და მშენებლობა 500-1000 PE წარმადობით;
- ადგილობრივი SCADA-ს პროექტირება და მოწყობა და ცენტრალურ SCADA-თან დაერთება;
- დაერთება საზოგადოებრივ ელექტროქსელთან;

---

[1] კონტრაქტს ერთობლივად აფინანსებს **საფრანგეთის განვითარების სააგენტო და ევროპული კავშირი.**

- ბაიპასის პროექტირება და მშენებლობა;
- დამკვეთის პერსონალის ტრენინგი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ოპერირებისა და ექსპლუატაციის საკითხში.

არჩევითი ტრანში 1

ზემოხსენებული ორი ნაგებობის 1-დან 3 წლამდე ოპერირებისა და ექსპლუატაციის საკითხში ტექნიკური დახმარება.

არჩევითი ტრანში 2

ზემოხსენებული ორი ნაგებობის 1-დან 3 წლამდე უშუალო ოპერირება და ექსპლუატაცია.

<u>განსაზღვრული ტრანშის განხორციელების პერიოდი</u>

განსაზღვრული ტრანშის განხორციელების პერიოდი იქნება 48 თვე, მათ შორის, შემდეგი ფაზები:

- პროექტირების, დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვების ფაზა - ხანგრძლივობა 12 თვე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების ფაზა - ხანგრძლივობა 24 თვე;
- დეფექტების ცნობის პერიოდი - 12 თვე.



რუკა 1: ლოტი2-bis: წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობა

სატენდერო წინადადებების მიღების შესახებ მოწვევა გამოქვეყნდება **2023 წლის სექტემბერში.**

დაშვებულ, დაინტერესებულ პრეტენდენტებს შეუძლიათ, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ***შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან“*** საწყისი შესარჩევი დოკუმენტების სრული კომპლექტის ***მოთხოვნით ინგლისურ ენაზე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info.procurement@water.gov.ge, cc: e.piranishvili@water.gov.ge. ადრესატი: გუგა კახაბაძე, დირექტორის მოადგილე.***

დოკუმენტები გიაგზავნება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ელექტრონული შეტყობინების მისამართზე.

საწყისი შერჩევისათვის განცხადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ნათლად დალუქულ კონვერტებში შემდეგ მისამართზე ***15:00 (თბილისის დრო), 30 ივნისს, 2023 წ.***

გვიანი განაცხადები უარყოფილი იქნება.

ოფისი: ***შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“***

ადრესატი: ***გუგა კაკაბაძე, დირექტორის მოადგილე; ეთერ ფირანიშვილი, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.***

მისამართი: ***შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათავო ოფისი, ანა პოლიტკოვსკაიას 5, 0186, თბილისი, საქართველო.*** ტელეფონი: ***+995 032 2 91 90 60***

ელექტრონული ფოსტის მისამართი: ***info.procurement@water.gov.ge; e.piranishvili@water.gov.ge;***

ვებგვერდის მისამართი: ***water.gov.ge***